

შპს ომედია

კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	3
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	4
1. ზოგადი ინფორმაცია	4
2. მომზადების საფუძველი	4
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	9
5. სავაჭრო მოთხოვნები	10
6. გადასახდელი ხელფასები	10
7. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზაციის დანახარჯები	10
8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	11
9. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	11
10. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	11
11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	12

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-22	31-12-21 (გადაანგარიშებული)	31-12-20 (გადაანგარიშებული)
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	174,373	73,268	146,312
სავაჭრო მოთხოვნები	5	536,800	513,752	139,889
სხვა მიმდინარე აქტივები		-	6,435	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		711,173	593,455	286,201
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		168,007	57,184	71,624
არამატერიალური აქტივები		-	-	17,886
სულ გრძელვადიანი აქტივები		168,007	57,184	89,510
სულ აქტივები		879,180	650,639	375,711
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		22,568	21,356	68,858
გადასახდელი ხელფასები	6	405,936	209,603	128,610
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		30,085	93,491	34,768
სულ ვალდებულებები		458,589	324,450	232,236
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		37,333	38,733	10,075
გაუნაწილებელი მოგება		383,258	287,456	133,400
სულ საკუთარი კაპიტალი		420,591	326,189	143,475
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		879,180	650,639	375,711

დირექტორი



ნოდარ დავითური

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარი)

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2022	2021 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	7	5,225,342	2,972,575
რეალიზაციის დანახარჯები	7	(4,120,163)	(2,125,778)
საერთო მოგება		1,105,179	846,797
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(259,241)	(180,200)
ხელფასები და სხვა სარგებელი	9	(507,623)	(401,847)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი		(30,525)	(17,865)
სხვა შემოსავლები		164	-
სხვა ხარჯები		(30,319)	(59,850)
მოგება პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		277,635	187,035
საპროცენტო ხარჯი		(4,619)	(880)
მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან		(177,214)	(32,099)
მოგება დაბეგვრამდე		95,802	154,056
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		95,802	154,056

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)	10,075	133,400	143,475
წმინდა მოგება	-	154,056	154,056
საწესდებო კაპიტალის ზრდა	28,658	-	28,658
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	38,733	287,456	326,189
წმინდა მოგება	-	95,802	95,802
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(1,400)	-	(1,400)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	37,333	383,258	420,591

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ომედია დაფუძნდა 2010 წლის 12 თებერვალს. კომპანიის მისამართია: საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, ყავლაშვილის ქუჩა #3. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 404379285.

კომპანიის პარტნიორებს წარმოადგენენ გიორგი ჯიბლაძე (პ/ნ: 01024051965) 30%, ნოდარ დავითური (პ/ნ: 01009021301) 30%, გიორგი გაფრინდაშვილი (პ/ნ: 01019006035) 5%, გიორგი გაგოშიძე (პ/ნ: 04001013999) 5%, გეგი ფირცხალავა (პ/ნ: 01024065697) 5% და ილია თავშავაძე 25% (პ/ნ: 31001031698).

კომპანიას მართავს დირექტორი - ნოდარ დავითური.

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურების გაწევა და ვებ გვერდების შექმნა.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს ომედია დეველოპმენტს (ს/კ 405263094), რომლის 100%-ის მფლობელია შპს ომედია.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

2022 წელს კომპანიამ ჩაატარა საწყისი ნაშთების, მათ შორის არამონეტარული და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად კომპანიამ გადაიანგარიშა და დააკორექტირა საწყისი ნაშთები. გარდა ამისა, უკეთესი პრეზენტაციის მიზნით, კომპანიამ მოახდინა გარკვეულ ანგარიშებს შორის ნაშთების გადაკლასიფიცირება. ფინანსური უწყისები, რომელიც გადაანგარიშდა, მონიშნულ იქნა „გადაანგარიშებული“-ს კლასიფიკაციით. შედეგად, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ წარმოადგინა სამი წლის საბალანსო უწყისი. გარდა ამისა, შედარებისთვის, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ ასევე წარმოადგინა გასულ პერიოდში გამოქვეყნებული ფინანსური უწყისები, რომელთა გადაანგარიშებაც მოხდა მიმდინარე პერიოდში:

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	73,268	146,312
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	513,752	139,825
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	6,708	-
მარაგები	-	64
სხვა არამატერიალური აქტივები	17,890	17,886
ძირითადი საშუალებები	105,535	71,624
სულ აქტივები	717,153	375,711
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	21,356	65,258
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	209,603	128,610
საგადასახადო ვალდებულებები	22,681	25,947
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	59,195	-
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	-	8,821
სხვა ვალდებულებები	12,417	3,600
სულ ვალდებულებები	325,252	232,236
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	38,733	10,075
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	353,168	133,400
სულ საკუთარი კაპიტალი	391,901	143,475
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	717,153	375,711

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

საქმიანობის შედეგები	31/12/2021
ნეტო ამონაგები	3,021,492
მომსახურების გაწევიდან	2,958,820
სხვა	62,672

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარი)

საერთო მოგება	3,021,492
სხვა საოპერაციო შემოსავალი	1,083
დასაქმებულთა ანაზღაურება	-2,446,934
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი	-11,094
საპროცენტო ხარჯი	-880
იჯარის ხარჯი	-68,256
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-225,642
სულ საოპერაციო ხარჯები	-2,751,723
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	269,769

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	31/12/2021	31/12/2020
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	143,475	62,161
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	33,298	9040
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-50,000	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-4,641	-
წმინდა მოგება	269,769	72,274
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	391,901	143,475

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

თარიღი	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა ნაგებობები	50
ოფისის აღჭურვილობა	5
მანქანა-დანადგარები	10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	3-10
კომპიუტერული ტექნიკა	3-5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. კომპანიის მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

კომპანიას არჩეული აქვს თვითღირებულების მოდელი. შესაბამისად, არ ხდება ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულებაზე გადაფასება.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარი)

მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა. აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

3.3 გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

შპს ომედიას შვილობილ კომპანიას, შპს ომედია დეველოპმენტს, მინიჭებული აქვს საერთაშორისო კომპანიის სტატუსი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული სტატუსის მქონე კომპანიების მოგების გადასახადის განაკვეთია 5%, ნაცვლად სტანდარტული 15%-სა.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3.4 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარი)

გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.5 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

3.6 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული სრულად განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე.

2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარი)

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-22	31-12-21
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	110,165	46,289
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	64,208	26,979
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	174,373	73,268

5. სავაჭრო მოთხოვნები

2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

სავაჭრო მოთხოვნები	31-12-22	31-12-21
რეზიდენტი მყიდველები	69,785	66,789
არარეზიდენტი მყიდველები	467,015	446,963
სულ სავაჭრო მოთხოვნები	536,800	513,752

6. გადასახდელი ხელფასები

კომპანიის ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს თანამშრომლებზე გადასახდელი ხელფასები.

მათი ნაშთები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

გადასახდელი ხელფასები	31-12-22	31-12-21
მენეჯმენტი	36,554	25,997
სხვა თანამშრომლები	369,382	183,606
სულ გადასახდელი ხელფასები	405,936	209,603

7. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზაციის დანახარჯები

ჯგუფის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურების გაწევა და ვებ გვერდების შექმნა.

შემოსავალი	2022	2021
არარეზიდენტი პირებისგან	4,609,805	1,793,227
რეზიდენტი პირებისგან	615,537	1,179,348
სულ	5,225,342	2,972,575

2022 და 2021 წლის რეალიზაციის ხარჯები 4,120,163 და 2,125,778 ლარი, შესაბამისად, შედგება პირდაპირი სახელფასო ხარჯისგან, რომლებიც გაწეულია უშუალოდ მომსახურების შესაქმნელად.

8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2022	2021
აიტი და პროგრამული მომსახურების ხარჯი	84,713	57,551
იჯარის ხარჯი	84,625	68,256
იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯი	30,857	20,963
კომუნალური ხარჯი	16,268	11,051
მარკეტინგის ხარჯი	10,749	7,302
ბუღალტრული მომსახურების ხარჯი	8,502	-
საბანკო მომსახურების ხარჯი	5,868	3,986
საოფისე ინვენტარის ხარჯი	3,728	2,533
საკანცელარიო ხარჯი	1,365	927
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	12,566	7,631
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	259,241	180,200

9. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ ადმინისტრაციულ თანამშრომლებზე გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას ხელმძღვანელი პირების ჩათვლით.

10. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

10.1 2022 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 391,052 ლარი, ხოლო 2021 წლის განმავლობაში - 316,184 ლარი.

10.2 კომპანიის პარტნიორები მონაწილეობას იღებენ ცალკეული პროექტების შესრულებაში, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც თვითღირებულების ხარჯი. მათზე გაცემულმა კომპენსაციამ 2022 და 2021 წლებში შეადგინა 342,010 და 233,354 ლარი, შესაბამისად.

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.